ქართველი მეწარმეები და ქველმოქმედები

თუ ვინმე დიდ ქართველად შეგვიძლია დავასახელოთ, ერთ ერთი **დავით სარაჯიშვილია! ქართული კონიაკის მამა-დავით სარაჯიშვილმა მთელი ქონება ქართველ ხალხს უანდერძა.** ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელგანთქმული მრეწველი და **უდიდესი ქველმოქმედი,** რომელმაც რუსეთის მთელ იპერიაში პირველმა დაამკვიდრა კონიაკის წარმოების სრულფასოვანი ტექნოლოგია. დავით სარაჯიშვილი - მეწარმე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი - იგი ძალიან განსხვავდებოდა მაშინდელი ქართველი საზოგადოების საერთო სახისგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფართო განათლება, რომლის გარეშეც ძნელად თუ შეძლებდა დიდი საქმეების გაკეთებას. დავით სარაჯიშვილი 1848 წელს დაიბადა თბილისელი დიდვაჭრის, ზაქარია სარაჯიშვილის ოჯახში. ზაქარია სარაჯიშვილს ტფილისის "საპატიო მოქალაქის" წოდება ჰქონდა. მაშინ მთელი ვაჭრობა სომეხ-ებრაელთა, ხოლო მცირერიცხოვანი მრეწველობა რუსებისა და ახალჩამოსული გერმანელების ხელში იყო. ამიტომ ქართველთაგან დიდი თავადი ან მწერალი თუ «გამოჰკრავდა ხელს» საპატიო მოქალაქეობას. მდაბიური წარმოშობის ქართველი ვაჭარი ზაქარია იშვიათი გამონაკლისი გახლდათ.

თბილისის პირველი გიმნაზიის შემდეგ სწავლა დავითმა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე განაგრძო. რადგან მამისგან გამოგზავნილი ფინანსური დახმარებაც ხელს უწყობდა, ერთი წლის შემდეგ გერმანიაში გაემგზავრა. ჯერ მიუნხენში ისმენდა ლექციებს, შემდეგ კი მაშინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში შევიდა და 1871 წელს ბრწყინვალე შეფასებითაც დაამთავრა - ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. გერმანიაშივე განაგრძო სოფლის მეურნეობის საფუძვლიანი შესწავლა, შვიდი წლის შემდეგ საფრანგეთში გადავიდა და ორ წელიწადში მევენახეობის ჩინებულ სპეციალისტად ჩამოყალიბდა. საფრანგეთში გატარებულმა წლებმა და იქაური მეღვინეობის შესწავლამ გადააწყვეტინა, სამშობლოში დაბრუნებულს სპირტიანი სასმელების წარმოება წამოეწყო.

კავკასიის «დაპყრობა»

საქართველოში 1880 წლის მაისში დაბრუნდა, როცა მამის გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს... ცოლად შეირთო ცნობილი ვაჭრისა და მემამულის, ივანე ფორაქიშვილის ქალიშვილი - ეკატერინე, რომელიც მეუღლის თანამოსაქმე და მისთვის ყველა ეროვნულ წამოწყებაში ხელის შემწყობი იყო. დავითის გარდაცვალების შემდეგ (1911 წ.) ეკატერინემ კონიაკის წარმოება სარაჯიშვილისეულ ქარხნებში გაასამმაგა. დავითი ოჯახში ერთადერთი ვაჟი იყო. 700 ათასის დანატოვარ ქონებას უშვილოდ გადაგებულმა უფროსმა ბიძამაც დაამატა: რაც ებადა, ყველაფერი ძმისწულს უანდერძა. დავით სარაჯიშვილი საქმეს ჩამოსვლისთანავე შეუდგა. სამი წელიწადი მოანდომა რუსეთისა და ამიერკავკასიის შემოვლას, სპირტისა და არყის ქარხნების მდგომარეობის შესწავლას. იგი დარწმუნდა, რომ სპირტის გამოხდის ტექნოლოგია არაფრით განსხვავდებოდა არყის ხდის შინაური წესისგან, რაც პროდუქციის დაბალ ხარისხს განაპირობებდა. ხოლო სასმელ «კიზლარკას», რომელსაც რატომღაც «რუსულ კონიაკსაც» უწოდებდნენ, საერთო არაფერი ჰქონდა ნამდვილი კონიაკის ტექნოლოგიასთან. 1885 წელს დავითმა ივანე ფორაქიშვილთან ერთად შეიძინა პრიმიტიული ტექნიკით აღჭურვილი არყის სახდელი ქარხანა ვლადიკავკაზთან ახლოს, 75 დესეტინა (1,09 ჰექტარი) სახნავ-სათესი მიწით. ევროპიდან ჩამოატანინა უახლესი აპარატურა და ერთ წელიწადში პირველხარისხოვან, ევროპული დონის ქარხნად აქცია. ქარხნის ტერიტორიაზე მცირე დამხმარე საწარმოებიც ამუშავდა - წისქვილები, სამჭედლო, სიმინდისა და ქერის გასაშრობი და გასარეცხი საამქროები. იქვე აშენდა საერთო საცხოვრებელი მუშებისთვის. ქარხანა წელიწადში 10 თვის განმავლობაში მუშაობდა და 1,2 მილიონამდე ლიტრ სპირტს ამზადებდა. გადამუშავებული ქერისა და სიმინდის ნარჩენებით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვსა და ღორებს კვებავდნენ. დავით სარაჯიშვილმა თბილისშიც გახსნა

საქართველოში პირველი არყის რექტიფიკაციის (შენარევებისგან გაწმენდის, გაფილტვრის) ქარხანა, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა და 100-ზე მეტი კაცი დაასაქმა. ქარხანასთანვე ააშენა დიდი საწყობი და მაღაზია. პროდუქცია ძირითადად საქართველოშივე საღდებოდა და ლიქიორის წარმოებისა და ღვინის შესამაგრებლად (პორტვეინის დასამზადებლად) გამოიყენებოდა. ქარხნები მოგებას ტოვებდა. ნიჭიერმა მეწარმემ 1886 წელს ვლადიკავკაზში მეორე ქარხანა ააშენა. მომდევნო წელს თბილისში გაიხსნა სარაჯიშვილის ლიქიორის ქარხანა და საფრანგეთიდან მოიწვია სპეციალისტები. წარმადობამ წელიწადში 9 ათას ვედროს (ერთი ვედრო უდრიდა 12 ლიტრს) მიაღწია და პროდუქცია ევროპულ ანალოგებსაც უწევდა კონკურენციას.

ერევანსა და მის მახლობლად მაშინ არყის რამდენიმე პრიმიტიული ქარხანა მოქმედებდა და 1887 წელს სარაჯიშვილმა იქაც ააშენა საწარმო, ადგილობრივ მინიქარხნებში წარმოებული უხარისხო არყისა და სპირტის რექტიფიკაციისთვის. ნაწარმის უმეტესობა თბილისის ცენტრალურ საწყობსა და ბაქოს ჩამომსხმელ ქარხანაში იგზავნებოდა. კავკასიის სპირტის ბაზარი, ფაქტობრივად, დაპყრობილი იყო - მანამდე არსებული ათამდე მეწარმიდან ზოგმა რუსეთში გადაიტანა წარმოება, ზოგმა სარაჯიშვილს მიჰყიდა, დარჩენილი ორი კი ღირსეულ კონკურენციას ვეღარ სწევდა. დავით სარაჯიშვილს უკვე საშუალება ჰქონდა დიდი ხნის ოცნება აესრულებინა - ქართული კონიაკის წარმოება დაეწყო.

ქართული კონიაკის დაბადება

პირველი ცდები სოფელ დიღომში მოეწყო. დავითი დარწმუნდა, რომ იქაური თეთრი ყურძნის სპირტისგან საუკეთესო ხარისხის კონიაკის დამზადება შეიძლებოდა. უკვე 1888 წელს საფრანგეთიდან ჩამოტანილი «შარანტის» გამოსახდელი აპარატითა და ღვინის ორჯერადი გამოხდით მან 9.600 გრადუსი კონიაკის სპირტი მიიღო, რომელსაც მუხის კასრებში აყენებდა. ასე რომ, ქართული კონიაკის «დაბადების» თარიღად 1888 წელი შეიძლება მივიჩნიოთ. ქარხანა, რომლის მშენებლობა 1884 წლის ბოლოდან დაიწყო, 1889 წლიდან მთელი დატვირთვით ამუშავდა. საფრანგეთიდან კონიაკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტიც მოიწვიეს. კავკასიის ქარხნებიდან სპირტი თბილისში მოდიოდა და მისგან სამ, ოთხ და ხუთვარსკვლავიან სასმელებს ამზადებდნენ, ხოლო სამარკო ძვირფასი კონიაკისთვის სპირტი საფრანგეთიდან შემოჰქონდათ. წარმოება სულ უფრო ვითარდებოდა. 1888 წელს ყიზლარის კონიაკის სპირტის ქარხანა, 1894 - ასეთივე ქარხანა ერევნის ცენტრში, 1895 - მოლდავეთში, 1901 - აზერბაიჯანში გახსნილი კონიაკის სპირტის ქარხნებიც თბილისის საწყობების მომმარაგებელნი გახდნენ. სპირტის ტექნოლოგიური დაძველება 5-10 წლის განმავლობაში ხდებოდა. დიდ წარმოებას გასაღების დიდი ქსელიც სჭირდებოდა და სარაჯიშვილის კონიაკის სავაჭრო საწყობები და სააგენტოები რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში ამოქმედდა: ბაქოში, პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, ოდესაში, ჩარჯოუში, კიევში, ვილნიუსში, რიგაში, ხარკოვსა და როსტოვში. ათი წლის განმავლობაში (1891-დან 1900-მდე) სარაჯიშვილის ფირმის კონიაკის წარმოება 218 ათას ბოთლამდე გაიზარდა, სულ კი ამ პერიოდში 1 მილიონ 770 ათასი ბოთლი გაიყიდა. საქმე წლების განმავლობაში სწრაფად ვითარდებოდა. სარაჯიშვილის ფირმამ მიიღო საპატიო წოდება «მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კარის მომმარაგებელი» და უამრავი საერთაშორისო ჯილდო პეტერბურგის, ჩიკაგოს, ოდესის გამოფენა-კონკურსებზე. ყველაზე საპატიო იყო 1900 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენის ოქროს მედალი და სპეციალური ჯილდო საუკეთესო ხარისხის კონიაკის წარმოებისთვის. კონიაკის სამშობლოში ამ პრიზის მიღება ნამდვილი ფურორი იყო.

1910 წელს დავით სარაჯიშვილს ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. გერმანიაში გაკეთებულმა ორმა ოპერაციამ შედეგი ვერ გამოიღო და 1911 წლის 20 ივნისს მან საკუთარ სახლში დალია სული. ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა 1916 წლამდე (გარდაცვალებამდე) განაგრძობდა მეუღლის საქმეს.

დავით სარაჯიშვილმა მთელი ქონება (3 მილიონი მანეთის ღირებულებისა) ქართველ ხალხს უანდერძა სხვადასხვა ეროვნული დაწესებულების (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული გიმნაზიის, თეატრალური საზოგადოების და სხვათა) სახით. 1920 წელს, არეულობის ჟამს, სარაჯიშვილის ფირმამ მოქმედება შეწყვიტა. ბოლშევიკებმა იგი 1924 წლიდან აღადგინეს.

ასეთი იყო დავით სარაჯიშვილი, როგორც მეწარმე, ხოლო მისი მეცენატობა, ღვაწლი და საქვეყნო საქმისთვის შეწირული ქონებით საშვილიშვილო საქმეების კეთება - უკვე სხვა თემაა.

«ქართველები რევოლუციის გვარდიად გახდნენ, მაგრამ რევოლუციით ხალხი ვერ იცხოვრებს, ცხოვრებისთვის შრომაა საჭირო, რაც ჩვენ არ ვიცით და არც გვინდა ვიცოდეთ. ქართველს მეომრის ტრადიცია აქვს და მაგ რევოლუციაში ისე მიდის, როგორც წინათ ომში ან ჯირითში მიდიოდა, კულტურას კი მუშაობა ქმნის».

დავით სარაჯიშვილი

(მოამზადა შალვა მიგრიაულმა)

ჟურნალი ”ისტორიანი”, 2015 წლის მარტი, #3/51

და სწორედ დავით სარაჯიშვილი იდგა კონიაკის წარმოების სათავეებთან რუსეთში. საქმე ისაა, რომ საქართველოში კონიაკის დამზადება დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა, თავისი ხარისხით, ვერ უწევდა კონკურენციას ცნობილ ფრანგულ კონიაკს – მათი წარმოება საქართველოშიც და რუსეთის იმპერიაშიც, მაშინ, კუსტარული იყო, ხოლო ტექნოლოგია ეფუძნებოდა არა ცოდნას, არამედ მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, თუ როგორ აკეთებენ კონიაკს ფრანგები. შესაძლებელია, რომ ქართული კონიაკის წარმოება კვლავაც იმ დაბალ დონეზე დარჩენილიყო, ახალგაზრდა მეწარმეს, დავით სარაჯიშვილს რომ არ გასჩენოდა სურვილი, მოეწყო საკუთარი კონიაკის წარმოება მკაცრად მეცნიერულ საფუძველზე. სარაჯიშვილი თავისი ოცნების განხორციელებისაკენ მიისწრაფვოდა ჯიუტად, როგორც რომანტიკოსი და გააზრებულად, როგორც გონიერი ბიზნესმენი.
მან ბრწყინვალე განათლება მიიღო. 1867 – 1878 წლებში ქიმიას სწავლობდა გერმანიაში, მიიღო ქიმიის მეცნიერებათა დოქტორისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხები. 1878-1879 წლებში, უკვე მომწიფებული მეცნიერი იწყებს მეღვინეობის შესწავლას საფრანგეთში. სწორედ აქ შეძენილმა ცოდნამ მისცა მას საშუალება, დაეფუძნებინა სამრეწველო ნიადაგზე კონიაკის წარმოების საქმე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დავითმა შეისწავლა და ქიმიური ანალიზი ჩაუტარა ყურძნის ტრადიციულ ჯიშებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ ორგანოლეპტიკით და ქიმიური შემადგენლობით ისინი ძალიან უახლოვდებიან ფოლ ბლანშის და კოლომბარის ფრანგულ ჯიშებს, რომლებისაგანაც საფრანგეთში საკონიაკე სპირტს ამზადებენ, 1888 წელს სარაჯიშვილმა თბილისში გახსნა კონიაკის პირველი ქარხანა.
„1888 წელს სარაჯიშვილმა თბილისში მოაწყო პირველი კონიაკის ქარხანა რუსეთში, რითაც ბიძგი მისცა ამიერკავკასიაში მსგავსი ქარხნების გახსნის საქმეს“, – ნათქვამია სააქციზო ანაკრეფების თბილისელი გამგის ერთ ანგარიშში. ამის შემდეგ ქარხნები ააგო ყიზლარში (1889), ერევანში (1894), კალარარში (კიშინიოვის მახლობლად, 1895), ბაქოში (1896) და სხვაგან.

დავით სარაჯიშვილმა სახელი გაითქვა არა მარტო როგორც მსხვილმა მეცნიერმა და მეწარმემ, არამედ, როგორც ქველმოქმედმაც. გაზეთი „ზაკავკაზსკაია რეჩ“ წერდა: „მის სიცოცხლეში არ არსებობდა ხალხისთვის სასარგებლო საქმე, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოს. ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა… მისი მატერიალური დახმარების წყალობით საქართველოში აშენდა მრავალი ეკლესია, მათ შორის, ცნობილი ქაშუეთის ტაძარი თბილისის ცენტრში“. 1994 წელს ცნობილი ბიზნესმენის ელგუჯა ბუბუტეიშვილის ინიციატივით, რომელიც დღეს ფლობს თბილისის კონიაკის ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტს, დავით სარაჯიშვილის და მისი მეუღლის ნეშტი გადასვენებულ იქნა ამ ტაძრის სამლოცველოში (ეკვდერში). სარაჯიშვილს, რომელმაც შექმნა რუსეთის მრეწველობისათვის სრულიად ახალი დარგი, მშვენივრად ესმოდა განათლების მნიშვნელობა და მოსწავლე-ახალგაზრდობას მატერიალურ დახმარებას უწევდა. ყოველწლიურად დიდ თანხას აძლევდა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აგრეთვე, კერძო პირებს, მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ რევოლუციამდელი ჟურნალისტების აზრს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ „დ. სარაჯიშვილი ევროპულ განათლებასთან და რუსულ გაქანებასთან ერთად, თავის თავში აერთიანებდა ძველი ქართველი კაცის ყველა სიმპატიურ თვისებას, რომელიც მზად იყო წმინდა ქართული გულკეთილობით და საზოგადოებრივი საქმისათვის

თავდადებით, მთელი თავისი სიმდიდრე შეეწირა სამშობლოსა და ტანჯული კაცობრიობისთვის“. ამიტომაც აფასებენ მას ასე საქართველოშიც და რუსეთშიც.

დავით სარაჯიშვილის სახლი ნამდვილი სალონი იყო, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ალექსანდრე ჭავჭავაძის და მანანა ორბელიანის სალონის გაგრძელებად” – ამბობდა ექვთიმე თაყაიშვილი, – მის სახლს “სარაჯიშვილების ნომერს” და “ევროპასაც” ეძახდნენ. სახლის პირველ სართულზე განთავსებული იყო მაღაზიები, მეორეზე კი საცხოვრებელი ბინები და სასტუმრო. ეს სახლი მალე გახდა არისტოკრატულ-ლიტერატურული სალონი, სადაც კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, სტუმრები უცხოეთიდან. სახლის სტუმრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ვალერიან გუნია, არტურ ლაისტი და სხვ. საუბრობდნენ, კამათობდნენ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. “მას არ უყვარდა გრძელი ლაპარაკი, თავის აზრს ხატავდა მოკლედ, სხარტულად, ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდა, მეორედან მესამეზე, და რაღაც 5 წუთის განმავლობაში იმდენ კითხვას აღძრავდა, იმდენ საგულისხმოს იტყოდა, თანამოსაუბრენი გაკვირვებული რჩებოდნენ.”

ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვან წამოწყებაში დავითს გვერდში ერთგული მეუღლე – ეკატერინე ფორაქიშვილი ედგა. სამწუხაროდ, სიკეთით სავსე წყვილს შვილი არ ჰყავდა. “*რას მიქვია უშვილობა, განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღზრდილი, ქვეყნის საკეთილდღეოდ გაწვრთნილი, ჩემი შვილი არ არის?!*” (დ. სარაჯიშვილი).

დ. სარაჯიშვილმა ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით დააარსა კომიტეტი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ევალებოდა. დავითი მათ საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიებს უნიშნავდა. დავითის სტიპენდიანტებს შორის ბევრი შემდგომში ცნობილი მოღვაწეა:

კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი;

მომღერლები: ვალერიან ქაშაკაშვილი, ვანო სარაჯიშვილი;

მხატვრები: გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, გრიგოლ მესხი;

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე;

მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: სოლომონ ჩოლოყაშვილი, მოსე შალამბერიძე, სილოვან კაკაბაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, არჩილ ქართველიშვილი, ნინო ციციშვილი, კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე.

დავითი ფულად დახმარებას უწევდა ასევე უცხოეთში მყოფთ: აკაკი შანიძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, გერონტი ქიქოძეს, თედო სახოკიას, ნოე ჟორდანიას და მრავალ სხვას, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. “გავლიან დღენი, თვენი, საუკუნენი და დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის ხსენებას ვერავინ ამოშლის, ვერავინ ამოფხიკავს… შთამომავლობას გადაეცემა მისი ხსოვნა. ვინაიდან მისგან დაზრდილსა და განათლებულის ქართველთა შვილებით და შვილიშვილებით იქნება საქართველო სავსე” (ზაქარია ჭიჭინაძე).

დავითი 1911 წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. მისმა ანდერძმა კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა საზოგადოება. ანდერძის თანახმად, **მრავალმილიონიანი ქონების უდიდესი ნაწილი ქართველი ერის განვითარებას უნდა მოხმარებოდა. “თავისი ანდერძით სიკვდილი დათრგუნა და ბრწყინვალე შარავანდედი შეიმოსა” (ი. გოგებაშვილი).**

"არც ერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა 30 წლის განმავლობაში ისე, რომ დავით ზაქარიას ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს, გაზეთ-ჟურნალის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა გამოზრდა. ეკლესიისა და

სკოლის გამშვენიერება, ღარიბ-უძლურთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამანსპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება" (ალ. ხახანაშვილი)

დავითი ღრმად მორწმუნე კაცი იყო,საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა თუ რესტავრაციაზე. დავით სარაჯიშვილის ინიციატივითა და დიდი წილი მისივე სახსრებით აშენდა თბილისში ქაშვეთის ტაძარი(ამ ფაქტის აღსანიშნავად 1995 წელს ეკესიის შესასვლელ კარებზე დავითისა და მისი მეუღლის სახელის ინიციალებია ამოტვიფრული) ,რესტავრაცია ჩაუტარდა სვეტიცხოველს, მცხეთის დედათა მონასტერს, იკორთის, მარტყოფის, თბილისის სამების, მთაწმინდის, კალოუბნის და მრავალ სხვა ეკლესიას.

– ღმერთი და სამშობლო! ეს უმაღლესი ფასეულობებია.

დავით სარაჯიშვილმა სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1910 წლის 3 ივნისს, დონის როსტოვში ნოტარიუსთან შეადგინა ანდერძი.

ქონება - **სამი მილიონი** მანეთი გადანაწილდეს შემდეგნაირად:

1. 500 ათასი მანეთი – წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

2. 150 ათასი მანეთი – ქუთაისის თეატრის ასაშენებლად.

3. 200 ათასი მანეთი – ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

4. 25 ათასი მანეთი – ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას.

5. 50 ათასი მანეთი – თბილისში პოლიტექნიკურ ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად.

6. 30 ათასი მანეთი – ვლადიკავკავის (ორჯონიკიძე) ღარიბ მოსწავლეთათვის, სწავლის ქირის გადასახდელად (განურჩევლად ეროვნებისა);

7. 25 ათასი მანეთი – საქართველოს საეთნოგრაფო საზოგადებას წიგნების გამოსაცემად.

8. 100 ათასი მანეთი – თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოებას.

9. 10 ათასი მანეთი – სამიწათმოქმედო სახელოსნოს გამოსწორებულ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებას.

10. 171 ათასი მანეთი – სარაჯიშვილის ფირმის მუშა-მოსამსახურეებისათვის;

11. 5 ათასი მანეთი – ქართული ფილარმონიის საზოგადოებისათვის;

12. 20 ათასი მანეთი – ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებას – ქართული ახალი ორიგინალური ბელეტრისტული ნაწერებისათვის პრემიის დასანიშნად.

13. 50 ათასი მანეთი – ავლაბარში საპროფესიო სკოლის დასაარსებლად და შესანახად.

14. 10 ათასი მანეთი – მოსკოვის ქართულ საზოგადოებას.

15. 10 ათასი მანეთი – დიდუბის ტაძარს.

16. 5 ათასი მანეთი – რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა საზოგადოების სადგურს ოდესაში.

17. 200 ათასი მანეთი – ქირურგიულ საავადმყოფოს ასაშენებლად თბილისში.

...

დავითის გარდაცვალების შემდეგ, ქმრისეულ სამრეწველო-საქარხნო საქმეებს სათავეში ჩაუდგა და წარმოება არა თუ შეამცირა, გაასამკეცა დავით სარაჯიშვილის მეუღლემ ეკატერინე ფორაქიშვილმა.

1916 წელს კი ჯანმრთელობა შერყეულმა ითხოვა:

„ნუ დამკრძალავთ დიდებულად, არ ვსაჭიროებ არც გვირგვინთ, არც დიდ ძეგლს, ბევრი არ დამახარჯოთ და ქონება ჩემსა ერსა გაუბოძეთ“.

ეკატერინემაც, დავითის მსგავსად, თავისი უძრავ-მოძრავი ქონების დიდი ნაწილი სამშობლოს დაუტოვა. “ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი ადამიანი. ეს უფრო მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატრონი, ” – დავით სარაჯიშვილი.

ძმები ზუბალაშვილიები

ქართველი მრეწველი და ქველმოქმედი ძმები ზუბალაშვილები – იცნობდეთ ძმები ზუბალაშვილების წარმატების გზას

საქართველოში ბევრია მდიდარი, მაგრამ ზუბალაშვილთა მსგავსი ქველმოქმედი არავინაა“, – ნიკო ნიკოლაძე.

ძმები ზუბალაშვილები – ქართველი მრეწველები და მეცენატები, რომელთა მიზანს ქართული კულტურისა და ეკონომიკის გადარჩენა–აღორძინება წარმოადგენდა.

📌 ძმებ ზუბალაშვილებს დიდი სავაჭრო ქსელი ჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქეთსა და ინდოეთში. მათ მიერ თბილისში შექმნილმა „ამხანაგობამ“, ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა ააშენა.

📌 1835 წელს, იაკობ ზუბალაშვილმა, იმერეთში პირველი არყის ქარხანა გახსნა და იმერეთის მოსახლეობისგან ჭაჭის შესყიდვა დაიწყო. ქარხანაში, წელიწადში, დაახლოებით 72 ათას ლიტრ არაყს ხდიდნენ.
📌 1842 წელს, იაკობზუბალაშვილმა, თბილისშიდიდიქარვასლააააშენა, რომლიც 10 სავაჭრომაღაზიას, საწყობებს, ღვინისსარდაფებსადა 71 სასტუმროოთახსაერთიანებდა.

📌 1837 წელს კი თბილისში დააარსა ამხანაგობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიაში პირველ შაქრის ქარხანას. ქარხანამ 7-8 წელი იარსება და დაიხურა რუსეთიდან შემოტანილი შაქრის კონკურენციისა და ადგილობრივი ნედლეულის უქონლობის გამო.

📌 ზუბალაშვილების გვარი და განსაკუთრებით ცნობილი გახდნენ კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილის შვილები პეტრე, სტეფანე, იაკობი და ლევანი. მართალია, პეტრეს გარდა არც ერთი მათგანი საქართველოში არ ცხოვრობდა, მაგრამ სამშობლოში ყოველი კეთილი საქმის წამოწყებას ისინი მხარს უჭერდნენ და უმაგალითო დიდსულოვნებით აღვსილნი, მხსნელებად ევლინებოდნენ ყოველ ღვთის მოსავ საქმეს.

📌 ძმები სამეწარმეო საქმიანობის გარდა დიდ ქველმოქმედებას ეწეოდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით.

📌 მათ მიერ დაწესებული სტიპენდიებით ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება რუსეთსა და ევროპაში, მათ შორის იყვნენ: გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა და სხვები. მეცენატი ძმების მხარდაჭერითა და ფინანსური შემოწირულობებით დააარსა ილიაჭავჭავაძემ წერა–კითხვისგამავრცელებელი საზოგადოება და, ასევე, სათავადაზნაურო ბანკი.

📌 ძმები ზუბალაშვილების სახელს უკავშირდება ამჟამინდელი მარჯანიშვილის თეატრი, თბილისის უნივერსიტეტი და კონსერვატორია. ამ ისტორიული შენობების აგებისთვის ზუბალაშვილებმა საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს. ისინი აქტიურად აფინანსებდნენ გაზეთ „ივერიასა“ დაჟურნალ „ჯეჯილს“.

📌 პარიზში, ლუვრში, ერთ–ერთი დარბაზის კედელზე განთავსებულ მარმარილოს დაფაზე, ამოტვიფრულია ექსპოზიციის შემომწირველთა სახელები, რომელთა შორისაც იაკობ ზუბალაშვილსაც ამოიკითხავთ.

📌 ზუბალაშვილები, გარდა ბიზნესის კეთების ნიჭისა, დაწინაურებულები იყვნენ ოქრომჭედლობაში, ხუროთმოძღვრულ ოსტატობაში; აგებდნენ მშვენიერ სასახლეებს, ხიდებს, ეკლესიებს.

📌 ძმებ ზუბალაშვილებს დიდი წვლილი მიუძღვით ქართველი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსებაში. ამასთან დაკავშირებით, ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძმები ზუბალაშვილების, თავიანთი მამის, კონსტანტინე ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის წესი დაპირობები შეიმუშავა და 1908–1914 წლებში, ჯამში **47 სტუდენტის** სრული, 4 წლიანი კურსი დააფინანსა, მათ შორის, **შალვა ელიავას, სარგის კაკაბაძისა და გერონტი ქიქოძის.** ძმები ზუბალაშვილების ხელშეწყობით სწავლობდა **მიხეილ ჯავახიშვილი ბელგიასა და პარიზში.**

📌 ძმები ზუბალაშვილების მიერ, კოჯრის გზაზე, ფუნქციონირებდა პირველი უფასო სასადილო „სამადლო“, რომელიც დღეს აღარ არსებობს.

📌 ძმები ზუბალაშვილების სახელთანაა დაკავშირებული თბილისში სათავადაზნაურო გიმნაზიის, უნივერსიტეტის I კორპუსისადა თბილისის მუსიკალური სკოლის, დღევანდელი კონსერვატორიის მშენებლობა.

📌 მათ სახელს უკავშირდება თბილისში პირველი პედიატრიული საავადმყოფოს გახსნაც, რომელიც ძმებმა სრულად აღჭურვეს ევროპიდან ჩამოტანილი სამედიცინო ხელსაწყოებით.

ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი

დაბადების თარიღი:	1 სექტემბერი, 1834წ.
გარდაცვ. თარიღი:	2 სექტემბერი, 1920წ.
დაკრძალვის ადგილი:	წინამძღვრიანთკარი
კატეგორია:	აგრონომი, პედაგოგი, პუბლიცისტი

ილია წინამძღვრიშვილი დაიბადა 1834 წლის 1 სექტემბერს (ძვ.სტ.) დუშეთის მაზრის სოფ. წინამძღვრიანთკარში.

1855 დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. უსახსრობის გამო უმაღლესი განათლების მიღება ვერ შეძლო. დაამთავრა მოკლევადიანი აგრონომიული კურსები. მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად (კოლეჟსკი სეკრეტარი), მომრიგებელ მოსამართლედ, უფროს ნოტარიუსად თბილისში.

ილია წინამძღვრიშვილი იყო "ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი. იგი აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ყველა საქმიანობაში. იმის გამო, რომ იმ პერიოდში საქართველოში არ არსებობდა ისეთი სასწავლებელი, როგორიც ახალგაზრდობას სასოფლო სამეურნეო განათლებას მისცემდა, წინამძღვრიშვილმა 1883 წლის 4 სექტემბერს საკუთარ მამულში, თავისი ხარჯითა და "ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დახმარებით გახსნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო–სამეურნეო სკოლა, რომელსაც შესწირა მთელი თავისი სიცოცლე და ქონება. წინამძღვრიშვილმა სკოლას გადასცა 55 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა და ტყე და 20 ათასი ლიტრის ტევადობის ღვინის სარდაფი საწნეხითა და ქვევრებით, შენობა კლასებისა და მუზეუმებისათვის, სახლი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, ორი სასადილო თავისი სამზარეულოთი და სარდაფით, პურის საცხობი და სახელოსნოები. სკოლას ჰქონდა საკუთარი სახელმძღვანელოები და მანქანა-იარაღები. წინამძღვრიშვილის მოთხოვნით, სკოლაში იღებდნენ მოსწავლეებს განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა.

წინამძღვრიშვილი აქტიური მონაწილე იყო ხოლმე ილიაობის აღნიშვნისას. ყოველ წელიწადს წინ მიუძღოდა თავის მოწაფეებს და ზეიმზე დასასწრებად საგურამოში ჩაჰყავდა.

70–იანი წლებიდან წინამძღვრიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ–გაზეთებში. მისი წერილები, პუბლიცისტური სტატიები და ნარკვევები ეხებოდა საყოფაცხოვრებო, ეთნოგრაფიულ და სამეურნეო საკითხებს. აქვს პედაგოგიური ხასიათის წერილებიც. წინამძღვრიშვილი იყო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების აქტიური წევრი. 1889 მან გამოსცა სახელმძღვანელო "ვაზის მოშენება", შემდეგ – "ზოგადი მიწათმოქმედება" ხორეშანა გვერდწითელის ფსევდონიმით.

ილია წინამძღვრიშვილი იყო დიდი ქველმოქმედი. მან დედაქალაქს გადასცა იმხანად ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლი, რომელიც "სახალხო კითხვათა კომისიის" განკარგულებაში იყო და იქ იმართებოდა სახალხო წარმოდგენები.

ილია წინამძღვრიშვილი გარდაიცვალა 1920 წელს თბილისში, დასაფლავებულია წინამძღვრიანთკარში.

1933 წელს სკოლის ბაზაზე შეიქმნა წინამძღვრიანთკარის ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

დაბადების თარიღი:	1 ნოემბერი, 1919წ.
გარდაცვ. თარიღი:	15 ოქტომბერი, 2007წ.
დაკრძალვის ადგილი:	თბილისი
კატეგორია:	ბიზნესმენი

გივი ზალდასტანიშვილი 1919 წლის 1 ნოემბერს დაიბადა თბილისში სოლომონ ზალდასტანიშვილისა და მარიამ ხირსელის ოჯახში. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ჯერ სოლომონი – "აჯანყების სამხედრო საქმეთა მომწესრიგებელი პოლკოვნიკი" წავიდა ემიგრაციაში. სულ მალე კი მარიამიც შეუერთდა ბავშვებთან – გივისა და ოთართან ერთად.

პარიზში ზალდასტანიშვილები ბავშვებს მართლმადიდებლური წესით ზრდიდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ქართული ენა და ცნობიერება არ დაეკარგათ.

გივი მშობლებმა განათლების მისაღებად ფრანგულ სკოლაში შეიყვანეს. 1939 წელს ის საფრანგეთის საზღვაო ძალებში ჩაეწერა. II მსოფლიო ომის დაწყების დღიდან მონაწილეობდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში.

1942 წ. შეიქმნა პარიზის ქართველი ახალგაზრდების ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც 1942-46 წწ–ში გივი ზალდასტანიშვილია. ასოციაციის მიზანი იყო ქართული კულტურის, ენის, ისტორიის წარმოჩენა, ემიგრაციაში მყოფი ქართველების საქმიანი, შემოქმედებითი თუ პროფესიული უნარ–ჩვევების ხელშეწყობა.

1942 წელს გივი ზალდასტანიშვილი გამოდის საფრანგეთის საზღვაო–სამხედრო ძალებიდან და სწავლას პარიზში პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში იწყებს. პარალელურად 1944 წ. წარმატებით დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1945 წ. კი ამავე უნივერსიტეტის იურისპუდენციის ასპირანტურა. დიპლომის მიღებისთანავე ადვოკატობა დაიწყო.

1946 წელს ოთარ ზალდასტანიშვილი აშშ გადავიდა საცხოვრებლად და რამდენიმე თვეში ჰარვარდის სტუდენტი გახდა. მისი დაჟინებული თხოვნით 1947 წლის დასაწყისში გივი და დედაც ამერიკაში გადავიდნენ. ინგლისურ ენასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, გივიმ შეძლო ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაბარება. 1951 წ. მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი, თუმცა ჰარვარდთან საქმიანი ურთიერთობა არ გაუწყვეტია. წლების განმავლობაში იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის მმართველობის წევრი.

თავიდან გივი ზალდასტანიშვილმა "ბიზნეს შესძლებლობები" საცალო–სავაჭრო ფირმა "Federated Department Stores"-ში სცადა, სადაც 1951 წ. დაიწყო მუშაობა ჯერ უბრალო მუშად, შემდეგ კი – შესყიდვების განყოფილების მენეჯერად. 1962-80 წწ–ში იყო ბოსტონში ავეჯით მოვაჭრე მაღაზია "The Finishing Touch" მფლობელი და პრეზიდენტი. 1980 წლიდან იყო ბოსტონში მარკეტინგული ფირმის "Zaldastani Consulting, Inc."-ის პრეზიდენტი. 1976 წლიდან ხელმძღვანელობს საინჟინრო–საკონსულტაციო ფირმას "Zaldastani Assiociates". დაუღალავი შრომის შედეგად გივი ზალდასტანიშვილმა დააგროვა კაპიტალი, შეიძინა სოლიდური საცხოვრებელი სახლები ამერიკასა და საფრანგეთში, პატარა კუნძული კარიბის ზღვაში, სადაც ააშენა სასტუმროები.

გივი ზალდასტანიშვილი საქართველოში 62 წლიანი განშორების შემდეგ 1986 წ. დაბრუნდა. 1988 წელს კი მეორედ მეუღლესთან მიშლენ დე'ზიევასთან ერთად ესტუმრა სამშობლოს. ამის შემდეგ მისი ვიზიტები სულ უფრო ხშირი გახდა. გივი ზალდასტანიშვილის უმთავრესი ოცნება ეკონომიკის სფეროში საქართველო–ამერიკის ურთიერთობის დამყარება იყო, რაც 90-იანი წლებიდან მისი საქმიანობის უპირველეს მიზნად იქცა... თუმცა მის წამოწყებას ბევრი, მისთვის გაურკვეველი და

აუხსნელი წინააღმდეგობა მოჰყვა, რის გამოც ვერ განხორციელდა მაღალი დონის ბიზნეს პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა საქართველოში მეცხოველეობის ფერმების დიდი ქსელის დაარსებას, წამლებისა და მედიკამენტების ქარხნის აშენებას და სხვა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად ძმებმა ზალდასტანიშვილებმა ჯონ მალხაზ და ოთარ შალიკაშვილებთან ერთად დაარსეს საზოგადოება "Georgian coaster departament".

გივი ზალდასტანიშვილი დაძაბული გრაფიკის მიუხედავად არასდროს ჩამოშორებია საზოგადოებრივ საქმიანობას. ამერიკაში ჩასვლისთანავე დაიწყო ურთიერთობა აშშ ქართველი ახალგაზრდობის ასოციაციასთან, რომლის პრეზიდენტიც 1966 თავადვე გახდა. აქტიურად მონაწილეობდა რადიოსადგურ "ამერიკის ხმის" დაარსებაში, მაგრამ იქ დიდხანს არ უმუშავია. 1951 წ. ხდება ინგლისურენოვანი პერიოდული გამოცემის "The voice of free Georgia"-ს ("თავისუფალი საქართველოს ხმა") რედაქტორი. 1953 წლიდან რედაქტორი ალექსანდრე ცომაიაა, გივი კი სარედაქციო კოლეგიის წევრად აგრძელებს მუშაობას. 1955 წელს მან ალექსანდრე ცომაიასთან, დიმიტრი სინჯიკაშვილთან (სინდიკელი), ს. კაიშაურთან, და გ. ლოლუასთან ერთად ნიუ–იორკში დაარსა გაზეთი "ქართული აზრი", სადაც გივი და ოთარი მუდმივად აქვეყნებდნენ წერილებს. 1974 წლიდან გივი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი ხდება. 1970 წელს აქტიურად მონაწილეობს პარიზში ქართულენოვანი ჟურნალის "ივერიის" გამოცემაში, რომლის რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრია 1990 წლამდე. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა გივი ზალდასტანიშვილის მოღვაწეობა ამერიკის ქართველთა სათვისტომოში, რომლის წევრიც 1957 წ. 24 ნოემბერს გახდა. 60-იან წლებში ხრუშჩოვისა და მისი მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოცხადებული დაუფარავი, უაღრესად მტრული დამოკიდებულების პერიოდში ამერიკის ქართული სათვისტომო დიდი აქტიურობით იწყებს ამერიკის პოლიტიკურ წრეებთან თანამშრომლობას და აქაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას. ამ პერიოდიდან გივი ზალდასტანიშვილიც ერთვება ამერიკის პოლიტიკურ საქმიანობაში, მისი სიმპატიები თავიდანვე რესპუბლიკელთა მხარეს გადაიხარა. ის შედის რესპუბლიკურ პარტიაში და პრეზიდენტის კანდიდატობის დამხმარე ჯგუფის წევრიც ხდება.

გივი ზალდასტანიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის 1997 წელს საქართველოს ეროვნული არქივის სამშობლოში დაბრუნების საქმეში. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ოთარ და გივი ზალდასტანიშვილებს, საქართველოდან 1921 წელს გატანილი სახელმწიფო არქივის მოვლისა და დაცვისათვის, საქართველოში ბიზნესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა 1997 წ.

2001 წელს გივი ზალდასტანიშვილმა ამერიკელ პედაგოგ დონალდ თომასთან ერთად თბილისში დაარსა ამერიკული აკადემია – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლის მიზანია XXI საუკუნის საქართველოს აღუზარდოს ახალგაზრდობა, რომელიც ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში შეძლებს სწავლის წარმატებით გაგრძელებას. **სასწავლებელი ითვალისწინებს გადასახადუუნარო მოსწავლეთა დაფინანსებას.**

გივი ზალდასტანიშვილი 2007 წლის 15 ოქტომბერს თბილისში გარდაიცვალა.

ამერიკაში გამომავალ საცნობარო ხასიათის წიგნში "ვინ ვინ არის", რომელშიც აშშ-ის მხოლოდ ყველაზე ცნობილი ადამიანებია დასახელებული, შეტანილია სამი ქართველი ემიგრანტი - ძმები, გივი და ოთარ ზალდასტანიშვილები და ალექსანდრე ქართველიშვილი.